სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 ოქტომბერი 2026

N 21/15509

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს „ჯეოინსინერაციას“
ელფოსტა: iraneb70@gmail.com

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 15 ოქტომბერს შპს „ჯეოინსინერაციამ“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე **(გარდაბანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცხოველური ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაცია)** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება. განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/323a0ee7-45fd-49f8-8285-ea407b2c36d6.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება **2026 წლის 6 ნოემბერს, 12:00 საათზე, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზიანის №1 საჯარო სკოლაში.** საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, **გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი.**

ამასთანავე, გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება როგორც **გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე,**

საინფორმაციო დაფასა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს (სოფ. ვაზიანი, სოფ. სააკაძე, დიდი ლილოს წინუბნისა და ბროწეულას დასახლებები) ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ.: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით დაგეგმილის საქმიანობის სკოპინგის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ.

საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დავით აღმაშენებლის გამზ. №150, 0112, თბილისი; ელფოსტა: eia@mepa.gov.ge; ტელ.: +995 32 2 439 556).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება – 2 (ორი) გვერდი
- განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე და განცხადების თანდართული დოკუმენტები – 2 (ორი) ფაილი

პატივისცემით,

ირაკლი მეგრელიძე

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/15509-21-2-202610231358